# საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
# ქ. თბილისი

MES 0 21 0001175215

02/11/2021

**შპს ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) $27^2$ მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის $3^1$ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. 2021 წლის 21 ივლისს შპს ევროპის უნივერსიტეტმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 ივლისის N757133 ბრძანების საფუძველზე, შპს ევროპის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 აგვისტოს N787373 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 20 აგვისტოს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს ევროპის უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 24 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

| **სტანდარტები** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში

ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 19 ოქტომბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად თოთხმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

**გადაწყვიტა:**

1. დაკმაყოფილდეს შპს ევროპის უნივერსიტეტის 2021 წლის 21 ივლისის N730971 სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ევროპის უნივერსიტეტის „განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2021 წლის 02 ნოემბრის N1174313 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები ნაწილობრივ გაიზიარა და განსაზღვრა შემდეგნაირად:

**რეკომენდაციები:**

1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ნაწილში დაზუსტდეს და დეტაურად გაიწეროს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, შესაბამისი ლიტერატურული წყაროები, გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები.
3. რეკომენდირებულია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის მაპროფირებელი არჩევითი კურსებიდან ერთერთის ძირითად სავალდებულო ბლოკში გათვალისწინება.

**რჩევები:**

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
2. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და განხორციელდეს სავალდებულო ლიტერატურის ოპტიმიზაცია და დამატებით ლიტერატურულ მასალებში მათი გადანაწილება.
3. სასწავლო კურსებში „განათლების სისტემის ადმინისტრირება და განვითარება“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და ბიუჯეტირების საკითხები“ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებულია ერთი და იგივე წყარო - „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2010. სილაბუსში უნდა იყოს მითითებული კურსების შესაბამისად, აღნიშნული წყაროდან გამოყენებული შესაბამისი გვერდები.
4. სასურველია, პროგრამის მდგრადობის მეტი თვალსაჩინოებისთვის წარმოდგენილ იქნეს სრულად პროგრამული ბიუჯეტი.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ექვსი თვე, 2022 წლის 02 მაისი.
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 02 ნოემბერს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



*დანართი №1*

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | განათლების ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე-7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | განათლების ადმინისტრირების მაგისტრი |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | გურამიშვილის გამზ. No76, თბილისი, 0141, საქართველო<br>სარაჯიშვილის ქ. No17, თბილისი, 0189, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |
| 16 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2021 წლის 02 ნოემბერი |
| 17 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენისთვის განსაზღვრული ვადა | ანგარიშის წარმოდგენის ვადა ექვსი თვე, 2022 წლის 02 მაისი |
| 18 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 2025 წლის 03 ნოემბერი |